



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

27 აპრილი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 52

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისთვის მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სოფლის მეურნეობის დარგში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ლაშა ღლონტს მიენიჭოს უფლებამოსილება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს მოაწეროს ხელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სათესლე სიმინდის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი